პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 154 (18396) პარასკევი, 2 ივლისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია გაიხსნება დღეს, 2 ივლისს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს, 2 ივლისს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

ბინათმშენებლობას — შეუნელებელი ყურადღება!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ კვლავინდებურად ძალზე მწვავე სოციალურ პრობლემად რჩება რესპუბლიკის მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესება. ამიტომ მან გააფრთხილა ყველა ხელმძღვანელი, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ ამ პრობლემასთან და დასძინა, რომ „საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები უნდა შევასრულოთ, უნდა შევასრულოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს!“

პლენუმზე ისიც აღინიშნა, რომ უნდა ვეძებოთ საბინაო მშენებლობის მასშტაბის გაფართოების ყოველგვარი რეზერვები, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი ნედლეული, წავახალისოთ საბინაო მშენებლობის ინიციატივიანი მეთოდები. ბევრი რამის მიღწევა შეიძლება საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტით, მათი რეკონსტრუქციის, ყოველგვარი მინაშენის, დანაშენის და სხვა გზით.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სახელმწიფო გეგმები 1976 წლიდან მოყოლებული სრულდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დაბალია საცხოვრებელი ფართობით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე. ამ მხრივ საქართველო ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. მდგომარეობის გამოსასწორებლად მრავალი ღონისძიება ხორციელდება. ზემოხსენებული პერიოდიდან დღემდე რესპუბლიკაში აშენდა და განახლდა ბევრი სახლთსაშენებელი და საშენ მასალათა მრეწველობის სხვა საწარმოები. მთელ რიგ მშენებლობებზე დაინერგა მუშაობის პროგრესული მეთოდები და მათ შორის შრომის ბრიგადული ფორმები, კვალიფიკაცია აიმაღლა ათასობით მშენებელმა მუშამ, ინჟინერმა, ტექნიკოსმა. მეათე ხუთწლედის დამლევისათვის სახელმწიფო და კოოპერაციული ბინათმშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონემ 76 პროცენტს მიაღწია, კორექტირებულია საცხოვრებელი სახლების პროექტები ცემენტისა და ლითონის ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, გაუმჯობესდა მშენებლობის ზოგიერთი ხარისხობრივი მაჩვენებელი.

ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე სამშენებლო ინდუსტრიის საფუძველი სახლთსაშენებელი კომბინატებია. ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ კომბინატების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისება დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობს. საპროექტო სიმძლავრეებს მხოლოდ ქუთაისის სახლთსაშენებელმა კომბინატმა და № 14 სამშენებლო ტრესტის დიდბლოკიანი მშენებლობის საწარმომ მიაღწიეს. რა არის ასეთი მდგომარეობის მიზეზი? ჯერ ერთი, ის, რომ სიმძლავრეებს სწორად არ ვანაწილებთ რეგიონების მიხედვით და, მეორე, საწარმოებს ლამის ნახევრად დაუმთავრებელს ვაბარებთ საექსპლოატაციოდ, ეს კი, ჩვეულებრივ, უარყოფითად მოქმედებს სამშენებლო მასალების ხარისხზე, რენტაბელობაზე და ვინ მოთვლის კიდევ რა მაჩვენებელზე.

სახლთსაშენებელი საწარმოების სიმძლავრეთა დროულ ათვისებას მტკიცე პარტიული კონტროლი უნდა დავუწესოთ. ალბათ, დადგა იმის დროც, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მთელი პრინციპულობით მოსთხოვონ ორგანიზაციულად დაქვემდებარებულ სამშენებლო ტრესტებსა და სამმართველოებს ბინათმშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება.

ამ მიმართულებით დასაკვეხნი, სამწუხაროდ არაფერი გვაქვს. არა ერთმა და ორმა შემოწმებამ ცხადყო, რომ მშენებლობის ხარისხობრივი მაჩვენებლები სასურველზე ნელი ტემპით უმჯობესდება. ძალიან ნელა, ცუდად სრულდება 1978 წლის VIII პლენუმის დადგენილება, რომელშიც განსაკუთრებით გაესვა ხაზი ბინათმშენებლობის ხარისხის ამაღლებასა და რიტმული მუშაობის დამკვიდრებას. საქმე ის არის, რომ საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი ფართობის 40-45 პროცენტი IV კვარტალზე და, კერძოდ, დეკემბრის თვეზე მოდის. ცხადია, იერიშობანა ხარისხის სასარგებლოს ვერას მოიტანს, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დიდი შეუსაბამობა მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას, სამშენებლო ორგანიზაციებს, რესპუბლიკის ეკონომიკას მთლიანად.

უსაზღვროდ სცოდავენ მშენებლები, როცა ისინი ოღროჩოღრო კედლებიან, პარკეტაყრილ ბინებს აბარებენ საექსპლოატაციოდ. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა ახალმოსახლენი იძულებული არიან ხელახლა დაიწყონ ბინების რემონტი. იყრება და ნადგურდება დიდი რაოდენობის მასალა, ის მასალა, რომელსაც მოუთმენლად ელის ასობით მშენებარე ობიექტი. დღეს, როდესაც პარტიამ წამოაყენა მეტად პრინციპული ლოზუნგი — ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს, — საქმისადმი ასეთი მიდგომა დანაშაულია!

დანაშაულს მშენებლებთან და მემონტაჟეებთან ერთად სჩადიან ის შემკვეთები და სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებიც ობიექტების ჩაბარებისას არ იჩენენ პრინციპულობას და მომთხოვნელობას, ავლენენ უპასუხისმგებლობასა და უსულგულობას მინდობილი საქმისადმი, მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ კომისიის მიერ აღმოჩენილი დეფექტების გამოსწორებისათვის თავს არავინ იწუხებს. რაც ახალმოსახლეთა სამართლიან საჩივრებს იწვევს. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში ასეთი საჩივრები არც თუ იშვიათად შემოდის, სამწუხაროდ, რედაქციიდან გაგზავნილი მშრომელთა წერილების განხილვისას ყოველთვის ვერ არიან მოწოდების სიმაღლეზე პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქალაქო და რაიონული აღმასკომები, სახალხო კონტროლის კომიტეტები, სხვა ორგანიზაციები. მშრომელები აღნიშნავენ, რომ საჩივრების განხილვისას მშენებლობის სამინისტროს, ტრესტების და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები სრულ გულგრილობასა და უპასუხისმგებლობას იჩენენ ადამიანებისადმი. თუ ეს ასე არ არის, აბა რით ავხსნათ ის გარემოება, რომ გლდანის მასივის პირველი მიკრორაიონის № 15 კორპუსის 33 მცხოვრების განცხადება, რომელშიც ისინი ყოვლად დაუშვებელი დეფექტების გამოსწორებას მოითხოვდნენ, უყურადღებოდ დატოვეს მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის მოიჯარე ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა? ნუთუ აუცილებლად საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პარტიული კომისიის ჩარევა იყო საჭირო იმისათვის, რომ ამავე ტრესტის ხელმძღვანელობას ყურადღება მიექცია დიღმის მასივის მეხუთე მიკრორაიონის № 20 კორპუსში მცხოვრები სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდის ა. ხაჭაპურიძის განცხადებისათვის და დახმარებოდა მას? გვერწმუნეთ, ბევრი ასეთი კითხვის დასმა შეიძლებოდა ამავე და სხვა სამშენებლო ტრესტების ხელმძღვანელთა მისამართითაც.

მოიჯარე ორგანიზაციების ბევრი მუშაკი დარწმუნდა, რომ მათ არავინ არ სჯის არც საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადების დარღვევისათვის და არც მშენებლობის დაბალი ხარისხისათვის, ეს ყოვლად მიუტევებელი ფაქტია. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები არ აანალიზებენ სახელმწიფო მიმღები კომისიების მუშაობას, საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის აქტებს კომისიის წევრების ხელმოუწერლად ამტკიცებენ, არ იბრძვიან წესრიგისათვის. ალბათ საჭიროა, ამ მიმართულებით რაიაღმასკომების საქმიანობა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მსჯელობის საგანი გახდეს. ვიმეორებთ: თუ ბინათმშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხს შეუნელებელი პარტიული კონტროლი არ დაუწესდა, სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ.

კრიტიკას იმსახურებს ის გარემოებაც, როცა სამშენებლო მოედნებზე სახლთსაშენებელი კომბინატებიდან დაუმუშავებელი მასალები მოდის, ამიტომ ადგილზე მასალების ხელმეორედ დამუშავებას მშენებლები დიდ დროს ანდომებენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სადურგლო ნაკეთობათა ძალზე დაბალი ხარისხი.

მშენებლობის დაბალი ხარისხისათვის მარტო შარშან „სახმშენმა“ 26 ობიექტის მშენებლობა შეაჩერა და თანამდებობიდან 16 ინჟინერი და ტექნიკოსი გადააყენა.

საკმაოდ რთული და შეუნელებელი ძიების შედეგად საქართველოს „სახმშენმა“ მონახა საცხოვრებელი სახლების დაპროექტების ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება. მისი განხორციელებისათვის შემუშავებულია თანამიმდევრული და მიზანმიმართული გეგმა, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობის არქიტექტურას, გახდის მას მრავალფეროვანს, გამომსახველს და მოქნილს ასაწყობი კონსტრუქციების ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე, გაადვილდება კონსტრუქციების დამზადება სახლთსაშენებელ საწარმოებში და აწყობის პროცესი სამშენებლო მოედნებზე.

ბინათმშენებლობის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება რთული პრობლემაა და მისი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ამ დარგში მომუშავე მეცნიერთა, დამპროექტებელთა და მშენებელთა ერთიანი, ინტენსიური, მიზანდასახული, თანამიმდევრული მეცადინეობით. ეკონომიკის არც ერთ დარგში არ დგას ისე მწვავედ ხარისხის გაუმჯობესების საკითხი, როგორც მშენებლობაში. მშენებლობაში დიდი ხნის განმავლობაში არ ინერგებოდა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა. არადა, ცხოვრებამ ცხადყო, რომ უამისოდ წინ ბევრად ვერ წავიწევთ. შარშან მართვის ეს სისტემა უნდა შეემუშავებინათ მშენებლობის სამინისტროს 23 ორგანიზაციაში და დაეწყოთ დანერგვა 14-ში. ფაქტობრივად კი შემუშავდა 14-ში და დაინერგა მხოლოდ ორში.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1975 წლიდან მოყოლებული ბინათმშენებლობის გეგმები სრულდება, მაგრამ იგი ხშირად იერიშობანას მეოხებით მიიღწევა, რაც უარყოფითად მოქმედებს ხარისხზე. მდგომარეობა ამ მიმართულებით არც წლეულს არის სახარბიელო და ამის შესახებ ითქვა კიდეც რესპუბლიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საწარმოთა მშენებლობისა და განვითარების სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, რომელიც ამას წინათ შესდგა.

მიმდინარე წელს რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 1.160 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აქედან წლის პირველ ნახევარში 387 ათასი კვადრატული მეტრი. ხუთ თვეში მწყობრში იყო 142 ათასი კვადრატული მეტრი, რაც ნახევარი წლის 37 პროცენტსა და წლიური დავალების 12 პროცენტს შეადგენს. ეს მაჩვენებლები მეტად დამაფიქრებელია.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ მშენებლობის ტემპის დასაჩქარებლად, ისე, რომ ამან არ გააუარესოს ხარისხი. უნდა დაჩქარდეს აგრეთვე სახლთსაშენებელი კომბინატების რეკონსტრუქცია, ბოლო უნდა მოეღოს უყაირათობას, შრომის ცუდი ორგანიზაციის ფაქტებს, დროულად უნდა უზრუნველვყოთ ობიექტები საშენი, ინერტული მასალებით, ლითონით და მოწყობილობით, აღვკვეთოთ სამშენებლო ტექნიკის მოცდენები. პრაქტიკამ ცხადყო, რომ საუკეთესო შედეგებს აღწევენ ის კოლექტივები, სადაც პარტიული ორგანიზაციები ნიადაგ უთმობენ ყურადღებას მშენებარე ობიექტებს, ღრმად სწვდებიან საქმის ვითარებას, ზრდიან სამეურნეო მუშაკთა პასუხისმგებლობას, რაზმავენ მშენებლებს სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობისათვის.

ეჭვი არ არის, რომ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ შრომით მეტოქეობაში დიდი მიღწევებით გაგვახარებენ მშენებლებიც და ამით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის საერთო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ მიტია რიბიჩიჩს

პატივცემულო ამხანაგო რიბიჩიჩ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და პირადად გილოცავთ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევას და გისურვებთ წარმატებებს ამ პოსტზე თქვენს საქმიანობაში.

ვსარგებლობ შემთხვევით და გამოვთქვამ რწმენას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ურთიერთობა, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობის ხასიათისათვის, კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის ინტერესებისათვის.

ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახვედრად

ქობულეთის რაიონის ალამბრის კოლმეურნეობის ახალგაზრდა კოლმეურნის მზევინარ ანანიძისათვის მეათე ხუთწლედი განსაკუთრებული იყო. სწორედ ამ ხუთწლედში იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, თანაც საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

მეთერთმეტე ხუთწლედიც წარმატებით დაიწყო მ. ანანიძემ. შარშან გეგმით გათვალისწინებული 4,5 და ვალდებულებით ნაკისრი 5 ტონა ჩაის ნაცვლად 8 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა, ხოლო 3 ტონის ნაცვლად 5 ტონა ციტრუსი ჩააბარა სახელმწიფოს.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების II კურსის სტუდენტის მზევინარ ანანიძის ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — საკავშირო ალკკ XIX ყრილობის დელეგატად აირჩიეს. წელს იგი ჩვეული ენერგიით დასტრიალებს ჩაის პლანტაციებს და ღირსეულ ნობათს უმზადებს სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს.

სურათზე: მზევინარ ანანიძე. ვ. ბენბიურის ფოტო.

პარტიის საიმედო კადრები

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ გამოუშვა თავის აღზრდილთა ახალი რაზმი. 30 ივნისს მოსკოვში გაიმართა უმაღლესი პარტიული სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა, მსმენელთა და ასპირანტთა საზეიმო კრება.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ქ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების პირველი მოადგილეები ქ. მ. ბოგოლიუბოვი, ნ. ა. პეტროვიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის პირველი მოადგილე ა. მ. პოპლავსკი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ს. გუსტოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების მოადგილეები ი. ს. აფანასიევი, პ. ქ. ლუჩინსკი, გ. ს. სტრიჟოვი, ო. ა. ჩუკანოვი, მეცნიერები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრება გახსნა აკადემიის რექტორმა ვ. ა. მედვედევმა.

საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღმავლობით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ქ. ვ. რუსაკოვი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სახელით მან გულითადად მიულოცა აკადემიის კურსდამთავრებულებს, მთელ კოლექტივს ღირსშესანიშნავი მოვლენა, მიესალმა და ყოველივე საუკეთესო უსურვა.

საბჭოთა ხალხი, თქვა ქ. ვ. რუსაკოვმა, ენერგიულად მუშაობს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის პარტიის გეგმები თანამიმდევრულად რეალობად იქცევა.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უდიდესი მოვლენა გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმი. მის მიერ მიღებული სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა არსებითად უკვე დღეს გახდა მთელი პარტიის, მთელი ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის ღერძი. აკადემიის თითოეულ კურსდამთავრებულს ასე თუ ისე მოუხდება ამ პროგრამაზე მუშაობა პირველი დღეებიდანვე, თუ გავითვალისწინებთ, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიზნად გვისახავს — უკვე მიმდინარე წელს მოგვცეს უკუგება მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა.

საბჭოთა ადამიანების განსაკუთრებულ აღმავლობას იწვევს მოახლოებული სახელოვანი თარიღი — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავი. ჩვენში უკვე დიდი ხანია დამკვიდრდა კეთილი ტრადიცია — შრომითი წარმატებებით შევეგებოთ იუბილეებს. ამ ტრადიციაში აკადემიის კურსდამთავრებულები თავიანთ უშუალო, პირად წვლილს შეიტანენ.

ჩვენი ეკონომიკა თანდათანობით ინტენსიური განვითარების რელსებზე გადადის. ამ გადასვლის არსი ნათლად არის გამოხატული სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებულ ლაკონიურ, მაგრამ შინაარსით მდიდარ ფორმულაში — ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს. და აქ, რა თქმა უნდა, უდიდესი ასპარეზია შემოქმედების, გაბედული, ახალი გადაწყვეტების, ცოდნის გამოყენებისათვის.

მაღალი მიზნები, აღნიშნა ქ. ვ. რუსაკოვმა, დაისახეს სხვა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ყრილობებმაც. პრაქტიკულად ყოველ მოძმე სოციალისტურ ქვეყანაში ბევრი რამ, რაც მუშაობის სხვადასხვა მიმართულებით კეთდება, ჩვენი ქვეყნის საქმეებს ეხმიანება. ეს ეხება სოციალისტური დემოკრატიის განუხრელ სრულყოფასაც, ეკონომიკის ინტენსიფიკაციასაც, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდასაც.

ჩვენ ყველანი, სოციალისტური ქვეყნების კომუნისტები, არსებითად, საერთო კომუნისტურ საქმეს ვაკეთებთ, და ერთმანეთის უკეთ გაცნობა, გამოცდილების უშუალო გაზიარება, სოციალისტური სამყაროს წინაშე დასახული საკვანძო პრობლემების გადაწყვეტაში ჩვენი მეცადინეობის გაერთიანება კვლავაც იქნება თითოეული სოციალისტური ქვეყნის განვითარების, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის პოტენციალის გამრავლების საიმედო დამაჩქარებელი ფაქტორი.

სოციალისტური სამყაროს განვითარება ამჟამად გართულებულ პირობებში მიმდინარეობს. გამალებული შეიარაღება, კრიზისული სიტუაციების გაღვივება, რასაც მოწმობს ტრაგიკული მოვლენები ახლო აღმოსავლეთში, საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებზე უხეში ზეგავლენის ცდები — ყოველივე ეს ლამის მთავარი ელემენტებია ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკური კურსისა. ჩვენი წინააღმდეგობა მით უფრო ეფექტიანი იქნება, რაც უფრო მჭიდროდ და საფუძვლიანად ვითანამშრომლებთ ყველა მიმართულებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, კვლავაც დაუცხრომელ ყურადღებას დაუთმობენ სოციალიზმის ქვეყნებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში ეს ამოცანა მუდამ წინა პლანზეა, და იგი ჩვენი მოძმე ქვეყნების ერთობლივი მეცადინეობის შედეგად წყდება.

ყველანი ერთად მტკიცედ ვადგავართ ჩვენი თავდაცვითი სამხედრო-პოლიტიკური კავშირის, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის განმტკიცების გზას. ერთად ვაღწევთ ეკონომიკის დარგში ჩვენი ურთიერთობის გაღრმავებას, ვმუშაობთ ამ ურთიერთობის დონის ასამაღლებლად. ერთმანეთთან ურთიერთობის გაღრმავება, ჩვენი თანამშრომლობის დღენიადაგ განმტკიცება, ერთიანობა და დარაზმულობა ჩვენი საერთო დიადი საქმის ახალ გამარჯვებათა მტკიცე გარანტიად მიგვაჩნია.

ქ. ვ. რუსაკოვმა კურსდამთავრებულებს უსურვა იდეური გამჭრიახობა, მარქსისტულ-ლენინური იდეალების ურყევი ერთგულება. მტკიცე მრწამსი, თქვა მან, ჩვენი საერთო რევოლუციური საქმის ისტორიული მართებულობის რწმენა მატერიალური ძალაა. მუდამ უნდა გვახსოვდეს ლენინის ანდერძი მასებთან კავშირის განმტკიცების შესახებ, დაუღალავად უნდა ვზრუნავდეთ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების ზუსტი დაცვისათვის. ვსწავლობდეთ ადამიანებისაგან, ვიცოდეთ მათი განწყობილება, მხარს ვუჭერდეთ ყოველივე ახალს — ეს მარტო მოვალეობა როდია. ეს ნამდვილი პარტიული მუშაკის ვალია, განსაკუთრებით, თუ მას ესა თუ ის ხელმძღვანელი თანამდებობა უჭირავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გამოთქვა რწმენა, რომ ინტერნაციონალური მეგობრობა, რომელმაც აკადემიის კურსდამთავრებულები დააკავშირა, კეთილი ინტერნაციონალური საქმეების კიდევ ერთი წყარო გახდება.

აკადემიის მსმენელთა, ასპირანტთა და მასწავლებელთა სახელით კრებაზე გამოვიდნენ ი. ა. ოხიპოვა, ი. ხლოვიკი, პროფესორი ი. ა. ლუკინი.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. (ტასს).

სკკპ დელეგაცია სამშობლოში გამოემგზავრა

ბელგრადი, 30 ივნისი. (საკდესი). დღეს აქედან სამშობლოში გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით იგი მონაწილეობდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის XII ყრილობის მუშაობაში.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ო. ბ. რახმანინი და სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ნ. ნ. როდიონოვი.

ბელგრადის აეროდრომზე დელეგაცია გამოაცილეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აღმასრულებელმა მდივანმა ვ. იანჟიჩმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, აგრეთვე სსრ კავშირში იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა მ. ორლანდიჩმა.

მოსკოვში, აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ვ. პ. რუბენი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე. სხდომა გაიმართა 1 ივლისს თბილისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პ. გ. გილაშვილის თავმჯდომარეობით.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს და მოიწონეს წინადადებანი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეში სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების ღონისძიებანი.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაევალათ კონტროლი დაუწესონ იმისათვის მუშაობას, რომ რესპუბლიკის რაიონებში დროულად, 1982 წლის 1 ნოემბრამდე დამთავრდეს 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამის შემუშავება, ხოლო თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში — მეურნეობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების კომპლექსური გეგმების შემუშავება. ახორციელებენ რა მიზნობრივ კომპლექსურ მიდგომას სასურსათო პროგრამის გადაწყვეტისადმი, ისინი აქტიურად უნდა ჩაებან სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებაში, მუდამ უწევდნენ დახმარებას აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოების მუშაობას, ხელს უწყობდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სისტემის სრულყოფას, მიწების მაღალეფექტიან გამოყენებას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დაჩქარებულ დანერგვას. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებას, მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლის რენტაბელობის ამაღლებაში მათი დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გამოვლენას, აღწევდნენ მაღალ საბოლოო შედეგებს.

ამასთან ერთად ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებს, ტერიტორიულ დეპუტატთა ჯგუფებს, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებს დაევალათ ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ დასახლებული პუნქტების კომპლექსური კეთილმოწყობის განხორციელებას, საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაფართოებას, სოფლის მცხოვრებთა ყველა სახეობის მომსახურების გაუმჯობესებას.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ მეთერამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგები.

მიღებულ დადგენილებაში ახალი მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ მოაგვარონ არჩევითი საბჭოთა აქტივის სწავლება, ჩააბან ახლად არჩეული დეპუტატები და აღმასკომების, მუდმივი კომისიების ხელმძღვანელები საბჭოთა მშენებლობის სკოლებში, აგრეთვე დეპუტატთა სკოლებში, მკვეთრად გააუმჯობესონ დეპუტატთა ოთახების, ორგანიზაციულ-მასობრივი კაბინეტების მუშაობა, პერიოდულად მოაწყონ საინსტრუქტორო თათბირ-სემინარები საბჭოების, მათი ორგანოების, დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და სხვა ფორმირებათა მუშაობის ცალკეულ საკითხებზე.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის საკითხები, მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელთა გამოც მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

(საქინფორმი).

სესიის წინ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის წინ გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 17-ვე მუდმივი კომისიის სხდომები შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა მონაწილეობით. სხდომებზე წინასწარ განიხილეს საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ამ სხდომებზე გამართული საქმიანი, შინაარსიანი საუბარი ეხებოდა სასურსათო პროგრამის რეალიზაციის ყველა ასპექტს.

სხდომის მონაწილეებმა ეს პროგრამა მიიჩნიეს უახლოესი ათწლეულისათვის პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად და ყოველმხრივ გაანალიზეს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ძირითადი შედეგები და ამოცანები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ძირითად სახეობათა სურსათის წარმოებას, სასურსათო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაციას, აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განვითარებას, მისი დარგების ტრანსპორტით, ტარითა და ტარ-საფუთავი მასალებით უზრუნველყოფას. საფუძვლიანი საუბარი მიმდინარეობდა ისეთ ღონისძიებებზე, როგორიც არის მეცნიერების როლის გაძლიერება სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, სოფლად სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება, მიწათსარგებლობისა და წყალსარგებლობის კანონმდებლობის შესრულებისადმი მკაცრი კონტროლის განხორციელება, დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრება, მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომების შედეგები მოხსენდება რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სესიას. მათი ყოველმხრივი განხილვა სესიის მონაწილეებს შესაძლებლობას მისცემს კომპეტენტურად განსაზღვრონ საბჭოების ადგილობრივი ორგანოების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, ყოველი დეპუტატის ამოცანები სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, დასახონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების კონკრეტული, ქმედითი გზები. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ხობის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის მშენებლის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რაიონის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ხობის რაიონული გაზეთი „კომუნიზმის მშენებელი“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 29 ივნისი.

დრო და იდეოლოგია ● სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა

მიზანი: ვიმუშაოთ უკეთ

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საფუძვლიანად შეისწავლა და განიხილა წითელწყაროს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იდეოლოგიური უზრუნველყოფის მდგომარეობის საკითხი. ჯერ კიდევ მისი შესწავლის პერიოდში ბევრი რამ გაირკვა და გამოსწორდა კიდეც. მაგრამ საკითხი იმდენად მოცულობითი და პრობლემურია, რომ მის განხორციელებას გარკვეულად დიდი დრო დასჭირდება.

პარტიის წითელწყაროს რაიკომმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს პერსპექტიული და ამავე დროს პრაქტიკული სამოქმედო გეგმა, თუ რა ღონისძიებებითა და საშუალებებით, დროის რომელ მონაკვეთებში განახორციელონ მათ წინაშე დასახული სამეურნეო და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ამოცანები.

სწორედ ამ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელსაც ესწრებოდა აგრეთვე რაიონის ფართო პარტიული და სამეურნეო აქტივი.

„წითელწყაროს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იდეოლოგიური უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებიდან გამომდინარე რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები" — ასე იდგა კონკრეტულად საკითხი პლენუმზე.

პლენუმი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ იგი, ჩვეულებრივ, მოხსენების განხილვით კი არ დაწყებულა, არამედ მას წინ უძღოდა თემატური სექციური მუშაობა. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, რაიკომის სხვა წევრთა მონაწილეობით შექმნილმა ჯგუფებმა თემატურად შეისწავლეს ეს საკითხები, შეიმუშავეს თავიანთი მოსაზრებები, წინადადებები, და შემოიტანეს ისინი პლენუმის განსახილველად. აი ზოგიერთი იმ საკითხთაგანი: „ფორმალიზმის დაძლევის გზები მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში", „ფორმალიზმის დაძლევის გზები პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ქსელში", „იდეოლოგიური მუშაობის დაგეგმვის გაუმჯობესების გზები და საშუალებები"..

სექციების მიერ წარმოდგენილმა წინადადებებმა გარკვეული მხარდაჭერა და ასახვა პოვა როგორც პლენუმზე, ისე მის დადგენილებაში.

კრიტიკული, პრინციპული მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ჟ. ყარაულაშვილმა, მან ღრმად გაანალიზა როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დასმული ამოცანები, ისე ის ნაკლოვანებანი, დარღვევები, უყაირათობა და ფორმალიზმი, რომლებმაც ასე იჩინა თავი იდეოლოგიურ-პოლიტიკურ და სამეურნეო-ორგანიზაციულ მუშაობაში. კრიტიკა შეეხო ყველას, ვინც კი მას იმსახურებდა — რიგითი კომუნისტებით დაწყებული და პარტიის რაიკომის აპარატის მუშაკებით, განყოფილებათა გამგეებით, რაიკომის მდივნებით დამთავრებული.

მომხსენებელმა დასაწყისშივე აღნიშნა: პლენუმზე განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რაზეც კონკრეტულად, ნათლად და გასაგებად მიგვითითებს ცენტრალური კომიტეტი, დავსახოთ ღონისძიებანი, გამოვნახოთ იმის გზები და საშუალებები, თუ როგორ ვიმუშაოთ უკეთ, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების და, კერძოდ, რაიონის წინაშე დასმული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების განხორციელება.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა კრიტიკულად შეაფასეს რაიონში იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონე და აღნიშნეს, რომ ეს მდგომარეობა ძირითადად გამოწვეულია საშემსრულებლო დისციპლინის, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის, უპირველესად, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შესუსტებით, მომთხოვნელობის დაბალი დონით; მოიყვანეს მაგალითები, როცა პარტიული, თუნდაც სამეურნეო ორგანიზაციები ერთნაირ პირობებში თანაბრად არ იყენებენ შესაძლებლობებს, ერთნაირი მონდომებით და ენთუზიაზმით არ რაზმავენ ადამიანებს ბუნებრივი თუ სხვა რესურსების ასათვისებლად.

თუ შარშან სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა, არბოშიკის, ოზაანის კოლმეურნეობებმა იმის ნახევარიც ვერ მიიღეს. ზემო ქედის, არხილოსკალოს კოლმეურნეობებმა ჰექტარზე საშუალოდ 120-130 ცენტნერი ყურძენი მოიწიეს და სახელმწიფო მარანს შესაბამისად 12.000-8.000 ტონა ყურძენი ჩააბარეს. სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობაში კი მოუვლელობის გამო ზვრები ისე განადგურდა, რომ ორ მილიონ ტონაზე მეტი ზარალი განიცადეს.

მიუხედავად ამისა, რაიონმა შეასრულა როგორც ყურძნის, ისე მარცვლეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებანი. საქმე ის არის, რომ შრომის შედეგის მიხედვით კოლმეურნეთა ერთმა ნაწილმა მაღალი ანაზღაურება მიიღო, მეორემ კი თითქმის არაფერი. გასაგებია, თუ როგორი ურთიერთსაწინააღმდეგო იქნება მათი განწყობილება, შრომის სტიმული.

პლენუმზე პრინციპული მსჯელობა იყო იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც სამეურნეო თუ პოლიტიკური მუშაობის შედეგებისათვის უნდა მოეთხოვოს პარტიული ორგანიზაციის მდივანს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ბრიგადირს, ფერმის გამგეს თუ დარგის სპეციალისტს, მით უმეტეს კომუნისტს, რომელსაც მიანდეს საქმე და იგი მთელი მონდომებითა და შესაძლებლობით არ შეასრულა.

მომხსენებელმაც და შემდეგ კამათში გამოსულმა ამხანაგებმაც — ნ. ბოსტოღანაშვილმა, ე. ჩიტიშვილმა და სხვებმა, ისაუბრეს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ისეთ აქტუალურ უბანზე, როგორიც არის ლექციური პროპაგანდა და შენიშნეს, რომ ყველაზე მეტად სწორედ აქ არის დამკვიდრებული ფორმალიზმი. ზოგან ლექციები თვეობითა და წლობით არ იკითხება, ზოგან კი მხოლოდ ფორმალურად იკითხება. კრიტიკის მახვილი მიმართული იყო როგორც ადგილობრივი, ისე საზოგადოება „ცოდნის" რესპუბლიკური სფეროს სხვა ლექტორებისადმი, რომლებიც იშვიათად ჩამოდიან რაიონში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში სრულიად სამართლიანად, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პარტიის წითელწყაროს რაიკომს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, იდეოლოგიურ აქტივს არა, აქვს რაიონის წინაშე დასახულ სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ზუსტი პროგრამა, ღრმად ვერ სწვდებიან შრომითი კოლექტივების სოციალური და კულტურული განვითარების, საზოგადოებრივ მეურნეობებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, რეზერვების ძიებისა და გამოყენების პრობლემებს, არ განუსაზღვრავთ თავიანთი ადგილი ამ დიდმნიშვნელოვან პროცესში. ამის შედეგად რაიონის სამეურნეო ცხოვრებაში ჯერ კიდევ დაუძლეველია უარყოფითი ტენდენციები: საგრძნობლად კლებულობს პირუტყვის სულადობა, მცირეა მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ჰექტარობრივი მოსავლიანობა, დროულად არ წყდება რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის შექმნის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის, გარდაქმნის, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, მეურნეობის ახალ პირობებზე სამრეწველო საწარმოთა გადასვლის საკითხები.

მომხსენებელმა ჟ. ყარაულაშვილმა, შემდგომ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა — პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ გ. აბულაშვილმა, რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების გამგეობის თავმჯდომარემ ი. ფიროსმანაშვილმა თვითკრიტიკულად აღიარეს ეს ნაკლი. ამასთანავე აღნიშნეს, რომ რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელობისათვის ასეთი ერთიანი, კომპლექსური, პერსპექტიული გეგმის შემდგენლებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებითა და ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწიეს, ეს გეგმა განსახილველად და დასამტკიცებლად შემოიტანეს პლენუმზე.

როცა ი. ფიროსმანაშვილი თავის გამოსვლაში შეეხო სამეურნეო საკითხებს სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, მეცხოველეობაში არსებულ ჩამორჩენებს, არასათანადო შედეგებს, ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად რაიონში თესლბრუნვის მოშლა მიიჩნია, რადგანაც არ ხდება აგროწესებით გათვალისწინებული კულტურების მორიგეობით თესვა, ზოგ მეურნეობაში კი ძალზე შეამცირეს ან უგულებელყვეს პირუტყვისათვის საჭირო ყუათიანი საკვები კულტურების თესვა. თესლბრუნვას უნდა მიეცეს კანონის ძალა, — თქვა მან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ შეუწყნარებელი ფორმალიზმია დამკვიდრებული პარტიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სფეროში. მეცადინეობები ტარდება უფერულად, ვაწყდებით მათი ჩაშლისა და გადადების გაუმართლებელ ფაქტებს.

ამ საკითხებზე ილაპარაკეს პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ გ. აბულაშვილმა, რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტთან არსებული მეთოდიკური საბჭოს ხელმძღვანელმა კ. ოზაშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემოწმებამ, ბიუროს დადგენილებამ თვალი აუხილა, უფრო ღრმად ჩაახედა ისინი საქმეში, როგორც პირად, ისე იდეოლოგიური დარგის მუშაკთა მოვალეობაში. მათვე აღუთქვეს პლენუმს, რომ უახლოეს პერიოდში გამოასწორებენ არსებულ ნაკლოვანებებს.

ზოგადსაგანმანათლებლო აღზრდის, პროფესიულ-ტექნიკური სწავლების საკითხებზე, სკოლის, ოჯახისა და წარმოების ურთიერთობის შესახებ პლენუმზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ მ. ბიდიაშვილმა, 72-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა ე. მაისურაძემ, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ფორმალიზმი და უსულგულობაა მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში, პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრაში. მათ აღმოსაფხვრელად კი აუცილებელია სკოლის, ოჯახის, წარმოების ერთობლივი გულმოდგინე, შეთანხმებული მუშაობა.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნული იყო და პლენუმზეც ითქვა, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ იჩენენ შრომელთა აღზრდაში კოლექტივების როლის ამაღლებისათვის, სუსტად ინერგება მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა არის ხუთწლედის გმირების, შრომის ვეტერანთა, შრომითი დინასტიების წარმომადგენელთა პატივგება, ახალგაზრდის მუშად, კოლმეურნედ ჩარიცხვა, და ა. შ. გამოითქვა აზრი, რომ პიროვნების დაწინაურება თუ სხვა პატივგება მივანდოთ არა მარტო ერთეულ პიროვნებებს, თუნდაც დირექტორს თუ სხვას, არამედ კოლექტივს; კოლექტივის აზრი დაედოს, საფუძვლად, თუნდაც ერთ-ერთ დოკუმენტად, მის პირად საქმეს.

პლენუმზე სჯა-ბაასი გაიმართა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სუსტ მხარეებზეც. ამის ერთ-ერთ მიზეზად რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ნ. გობეჯიშვილმა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისუსტე დაასახელა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ამ დარგის მუშაკების შემოქმედებითს უნარზე, მოწადინებასა და პასუხისმგებლობაზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული.

უკანასკნელ პერიოდში რაიონში დიდი მუშაობა გასწიეს მუქთახორებისა და შრომის თავისამრიდებელთა მიმართ. დაზუსტებულია, თუ თითოეული ოჯახის წევრი სად მუშაობს, სად სწავლობს, რა საქმიანობას ეწევა. გამოუსწორებელ უსაქმურთა მიმართ მიღებულია ადმინისტრაციული ზომები.

პლენუმზე დაასახელეს ბევრი ისეთი კოლექტივი, პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტი თუ რიგითი მუშაკი, რომლებიც მოწოდების სიმაღლეზე დგანან როგორც მუშაობაში, ისე პირად ცხოვრებაში, სახელს უხვეჭენ რაიონს, კოლექტივს, ოჯახს.

— მაგრამ, რაოდენ საწყენია, — თქვა მოხსენების დასასრულს ჟ. ყარაულაშვილმა, — რომ ჩვენს საერთო შრომითს ფერხულში, ურთიერთგაგებისა და დარაზმულობის ატმოსფეროში, კვლავაც არიან უსაქმურები, ეგოისტები, გარეწრები, ცილისმწამებლები, უსაფუძვლო მომჩივნები და დემაგოგები. დიახ, ისინი ჩვენ თვალწინ ტრიალებენ და მოქმედებენ, ცდილობენ შექმნან გაუგებრობა, პანიკა, დაპირისპირება კადრების მიმართ, წერენ ცილისმწამებლურ, ანონიმურ წერილებს — აი კიდევ ერთი ჩვენი ნაკლი იდეოლოგიურ მუშაობაში, რომელიც ყველამ ერთად უნდა გამოვასწოროთ.

პლენუმი ძალზე საქმიანად, კრიტიკულად ჩატარდა. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში 17 ამხანაგმა მიიღო მონაწილეობა.

განხილული საკითხის ირგვლივ პლენუმმა მიიღო დადგენილება, დაამტკიცა პერსპექტიული სამუშაო გეგმა.

პარტიის წითელწყაროს რაიკომის პლენუმის მომზადებასა და მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ დ. კიკნაძემ და ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორმა მ. ჯინჭველაშვილმა.

ვლ. მჭედლიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის კოლექტივი ფართოდ არის ჩაბმული სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მან მიმდინარე წლის მარტო ხუთ თვეში გეგმის გადამეტებით 7,5 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა.

• • •

სურათზე: თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ცენტრალური სამართავი ფარი.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ჟურნალების ახალი ნომრები

„საქართველოს კომუნისტი" №6

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის" მორიგი, მე-6 ნომერი. ჟურნალში დაბეჭდილია საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შესახებ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამის პროექტის შესახებ.

მკითხველი აქვე გაეცნობა სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამის შინაარსს.

„პარტიული სიტყვა" № 12-13

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის" მორიგი, მეთორმეტე და მეცამეტე გაერთიანებული ნომერი.

ჟურნალის გაერთიანებული ნომერი ეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმს.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 6

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მორიგი, მეექვსე ნომერი.

ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მასალები.

ჟურნალი აქვეყნებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს.

აქვეა გამოქვეყნებული პროპაგანდისტების დასახმარებლად მეცადინეობათა სანიმუშო გეგმა.

ჩაის კრეფის პირველი პერიოდის შუქ-ჩრდილები

532 ათასი ტონა ჩაისათვის 1982 წელს

რაოდენობაც და ხარისხიც

„დავუბრუნოთ ქართულ ჩაის დაკარგული დიდება!" რესპუბლიკის მეჩაიეებმა წელს ამ დევიზით დაიწყეს დიდი ჩაისათვის ლაშქრობა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ წინასწარ განხორციელებულმა ღონისძიებებმა, მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა ტრადიციულმა თათბირმა, სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ახალმა აღმავლობამ მკვიდრი ნიადაგი შეუქმნა ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას.

დიდებული სანახავია ქობულეთის რაიონის ოჩხამურის, ცეცხლაურის, ხუცუბნის, ჩაქვის, ხელვაჩაურის რაიონის, ხელვაჩაურის, მახოს, ახალსოფლისა და მრავალი სხვა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციები.

ორგანიზებულმა შრომამ იმის შესაძლებლობა შექმნა, რომ ახლა ბევრ მეურნეობაში მარტო პირველი ვეგეტაციის დროს 3-ჯერ მოკრიფეს ფოთოლი. ყველაფერი იღონეს, რომ არ დაეკარგათ პირველი ვეგეტაციის დროს შემოსული ფოთოლი. მაგრამ შეგვხვდა ისეთი ბრიგადები, ისეთი ფართობები, სადაც დათვალიერების დღეს პირველი ვეგეტაციით შემოსული ფოთოლი არ მოეკრიფათ და იგი უკვე გაუხეშებული იყო. ამის მიზეზი ზოგან ის არის, რომ არ ჰყოფნით მუშახელი, სეზონს ყოველმხრივ მომზადებული ვერ შეხვდნენ. ზოგან კი მუშახელი ჭარბია, მაგრამ მას უნარიანად ვერ იყენებენ. ამასთან პლანტაციებში ჩაის ხარისხისათვის ყველა მონდომებით არ იბრძვის, გულთან როდი მიაქვთ ის პატრიოტული და ეროვნული საქმე, ქართული ჩაის ღირსება რომ ჰქვია. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში წავაწყდით დაუდევარ, თავკერძა მკრეფავებს, რომლებიც რაოდენობით არიან გატაცებული და არა ხარისხით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრიგადირები, აგროპერსონალი ასეთ მკრეფავებზე საჭირო ზემოქმედებას ვერ ახდენენ.

პარტიის ქობულეთის რაიკომი პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებს იმათ მიმართ, ვინც არღვევს ჩაის კრეფის წესებს, იმ საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებმაც შეასუსტეს კონტროლი.

დიახ, ქობულეთის, ხელვაჩაურისა და სხვა რაიონების ცალკეულ მეჩაიეობის მეურნეობებში არის კრეფის წესების დარღვევის შემთხვევები. მათი აღმოფხვრა შესაძლებელია უკომპრომისო ბრძოლით, აგროპერსონალის მოქნილი მუშაობითა და მეჩაიეებთან ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაძლიერების მეოხებით. ყველას უნდა შევაგნებინოთ, რომ ჩაის ხარისხის ამაღლება საერთო-სახალხო საქმე, ეროვნული საქმეა.

ქობულეთის № 1 ფაბრიკა ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის ზონაშია. თითქმის ნახევარი კილომეტრის მანძილიდან ვიგრძენით, რომ ჩაის ფაბრიკას ვუახლოვდებოდით. ჩაის დამახასიათებელი სურნელება მიდამოს მოსდებოდა. ასეთი სურნელება მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ჩაის თვისებაა.

ჩაის ფაბრიკაში ნარჩენებით დავინტერესდით. იგი წინა წელთან შედარებით 4-5-ჯერ შემცირდა. ეს კი იმის შედეგია, რომ ხარისხი გაუმჯობესდა. ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით საყვედური მაინც გვაქვს. ზოგიერთი ავტომანქანა ნორმაზე მეტად იყო დატვირთული, რაც უარყოფითად იმოქმედებს ხარისხზე. ჩამბარებლებმა მოიმიზეზეს, ავტომანქანები არ გვყოფნისო.

საერთოდ, ჩაის ფაბრიკებისა და მეურნეობათა ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ნედლეულის დამზადება-გადამუშავების დონე შარშანდელზე უკეთესია. ეს სულაც არ იძლევა დამშვიდების საფუძველს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შარშან ჩაის ფოთლის კრეფა ორი კვირის დაგვიანებით დაიწყო. მეორე, პირველი ვეგეტაციის ბოლოსათვის შარშან მეტი ჩაი იყო მოკრეფილი, ვიდრე წლეულს, ამას ემატება ისიც, რომ მეორე ვეგეტაცია ძალიან ნელა მიმდინარეობს.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ მდგომარეობას, რომ წელს შედარებით აღარ იგრძნობა დავა ჩაის მწარმოებლებსა და გადამმუშავებლებს შორის. ეს იმიტომ, რომ მათ შორის ბარიერები წაიშალა, ახლა ხელიხელჩაკიდებული ერთად იბრძვიან ხარისხისათვის.

მექანიზატორთა სადარდი

ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის სარემონტო სახელოსნოში თხუთმეტამდე ქალი იდგა. ზოგს დაზიანებული ხელის საკრეფი აპარატები ეჭირა და თავის რიგს ელოდა, სხვებს უკვე შესაკეთებლად გადაეწოდებინათ. ოთხი ოსტატი გამალებით არემონტებდა დაზიანებულ მანქანებს. ჩვენ რომ მივედით, მექანიზატორებმა ერთბაშად შემოგვჩივლეს, ეს რა მანქანებია, ზოგი ერთ თვეს არ მუშაობს, ზოგი ერთ დღეს და ზოგიც — ერთ საათსო.

— დილით შეაკეთეს ჩემი აპარატი. ფართობი აქედან ორ კილომეტრზეა, წავედი, ერთი საათი ვიმუშავე და ისევ გაფუჭდა. იქით-აქეთ უნაყოფოდ სიარულში და ამოდენა აპარატის თრევაში მთელი დღე დაიკარგა, — გვითხრა ერთ-ერთმა.

განაწყენებული მექანიზატორები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. ჩაის კრეფის გაცხარებული დღეებია, ყოველი წუთი საშურია, მანქანები კი...

— რვაასი აპარატი შევიძინეთ, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა თ. ცეცხლაძემ, — მათგან მხოლოდ ორასი მუშაობს, ზედიზედ ფუჭდება, ვერ იქნა და ვერა, აპარატების სადაზღვევო მარაგი ვერ შევქმენით. მეურნეობა 5800 ტონამდე ფოთოლს კრეფს, საიდანაც 80 პროცენტი მექანიზაციით მზადდება. ამ აპარატების შემყურენი, მიხვდებით, რა დღეშიც ვიქნებით.

ოსტატებს გამოველაპარაკეთ. პლასტმასის კბილანები გაჩვენეს. სადღა იყო კბილანები. უსური დეტალები უმალვე დაზიანებულიყო. თეთრი ღვედი, მოტორი, კარდანი ადვილად გამოდის მწყობრიდანო, შემოგვჩივლეს.

— წინა კვირაში,—საუბარში ისევ დირექტორი ჩაერია, — 30 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები შევიძინეთ. ისინიც უმალ გამოვიდა მწყობრიდან, ნაწილები ისევ საძებარი გვაქვს.

ანალოგიური მდგომარეობა ვნახეთ ცეცხლაურში, ხუცუბანში, ჩაქვში და სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ფოთლის საკრეფი აპარატის თითოეული მოტორის ღირებულება 125 მანეთია. მარტო წლეულს ოჩხამურის მეურნეობაში 250 მოტორი გაფუჭდა. ასეთ ვითარებაში, ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაშიც ჩავარდება მეურნეობა, როგორ გაიზრდება ჩაის ნედლეულის წარმოების დანახარჯები.

პლანტაციებში გავედით. ცნობილი მექანიზატორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კ. სეფერთ სკვერაძე ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს" ქვეშ შემძვრალიყო და რაღაცას არემონტებდა. მასაც ბევრი რამ აღმოაჩნდა საყვედურო: — შეხედეთ, ბატონო, — გვითხრა მექანიზატორმა, — ბადე არ გვაქვს, აკუმულატორი არ იშოვება, ჯვარედი ხშირად გამოდის მწყობრიდან. ჩაის საკრეფი სეგმენტი ხელში ჩამადნა, უწინ უკეთესი ლითონით ამზადებდნენ და დიდხანს გვყოფნიდა. ეს სეგმენტი შარშან შევცვალე და ისევ შესაცვლელია. სად ვიშოვოთ ეს ნაწილები, აღარ ვიცით. ყოველდღე რამდენიმე საათს რემონტზე ვკარგავ, ასეთ დღეში არიან სხვა მექანიზატორებიც. ამის გამო ჯერ პირველი ვეგეტაციის ფოთოლიც არ მოგვიკრეფია.

ჩაის კრეფის ტემპს რომ არ ჩამორჩეს, ნედლეული რომ არ გაუხეშდეს, მეურნეობის ხელმძღვანელები იძულებული არიან სამექანიზაციო ფართობები მეჩაიეებს ხელით აკრეფინონ. ეს კი მნიშვნელოვნად აძვირებს პროდუქციას, იწვევს ხელფასის ფონდის გადახარჯვას.

ბუნებრივად იბადება კითხვა, რას ფიქრობს „საქსოფლმანქანისა" და მიკროძრავის ქარხნების ხელმძღვანელობა, ბოლოს და ბოლოს, გააუმჯობესებენ თუ არა მანქანების ხარისხს? ამისათვის კი საჭიროა, უშუალოდ ადგილზე პლანტაციებში მისვლა, იქ უნდა დაუკვირდნენ მანქანების ექსპლოატაციის პროცესებს, დააჩქარონ ხარვეზების აღმოფხვრა.

სხვა პრობლემები

საწარმოები, მეურნეობები, მეჩაიეები უნდა მოვამარაგოთ აუცილებელი და ხარისხიანი ტარით.

ყუთები სუსტია, უსულგულოდ არის შეკედილი და მწყობრიდან ჩქარა გამოდის. მეურნეობებს არ ჰყოფნით ბრეზენტები, ამის გამო იძულებული გახდნენ ჩაის დასაყრელად გაეკეთებინათ ქვითკირის მოედნები. ნედლეული ზოგან მიწაზე დაყრილიც ვნახეთ. კვების პროდუქტებისადმი ასეთი დაუდევარი მოპყრობა დანაშაულია. ვენტილაცია ცუდად მუშაობს. მუშებს ისეთი სამუშაო ადგილი და საყოფაცხოვრებო პირობები უნდა ჰქონდეთ, რომ სამუშაოზე მისვლა მიუხაროდეთ. თუ საშხაპე არ იქნება გამართული, არ ექნებათ გასახდელები, სასადილოში გემრიელი და ნოყიერი კერძები არ დახვდებათ, ბუნებრივია, გუნება-განწყობილება გაუფუჭდებათ. ამ საკითხების მოგვარება სულაც არ არის ძნელი.

სასურველი და, შეიძლება ითქვას, უკვე აუცილებელია ჩაის ფაბრიკებს ჰყავდეს სტაბილური მუშახელი, რომელიც დაეუფლება ტექნიკასა და ტექნოლოგიას, უყვარს თავისი საქმე, სეზონური მუშებით შორს ვერ წავალთ. სტაბილური მუშახელით მხოლოდ მაშინ უზრუნველვყოფთ ფაბრიკებს, როცა კარგ საყოფაცხოვრებო პირობებს შევუქმნით. ჩაქვის ზონაში ახლაც ნახავთ ბარაკული ტიპის, ამორტიზებულ ფიცრულ სახლებს, რომელთაც ჟამთა სვლისაგან პირვანდელი სახე დაუკარგავთ. დროა, აქ იფიქრონ თანამედროვე საცხოვრებელი სახლების აგებაზე.

ერთიც. განა არ შეუძლია „საქჩაის", რომ თუნდაც ჩაის დღესასწაულის დროს ყველას აუწყოს, რომელი რაიონების და რომელი ჩაის ფაბრიკების პროდუქციაა მაღალი ხარისხის, ვინ იბრძვის მთელი მონდომებით ხარისხის გაუმჯობესებისათვის და ვინ სჯერდება მხოლოდ სიტყვას.

თუკი კარგ პროდუქციას მისი მწარმოებელი რაიონის სახელს შევარქმევთ, განა ეს არ იქნება წახალისების გამართლებული ფორმა? ამგვარი ღონისძიებები გაზრდის თითოეულის პასუხისმგებლობას. ასე თუ არ მოხდა, უსამართლობა იქნება კარგისა და ცუდის მკეთებელს ერთნაირი შეფასება მიეცეს.

მიმღებ პუნქტებში არსად არ გვინახავს ჩაის ფოთოლი ხარისხის მიხედვით გამოყოფილიყოს. ცუდად და კარგად ნაკრეფი ფოთოლი, როგორც იტყვიან, ერთ ქვაბში იყრებოდა. ხარისხის დადგენისადმი ასეთი დამოკიდებულება, ბუნებრივია, გულს უტეხს კარგ მკრეფავს და ხელს უმართავს იმათ, ვინც რაოდენობით არიან დაინტერესებულნი და ხარისხისათვის ბრძოლა დიდად არც აწუხებთ.

მთლიანად უნდა დავგმოთ თვითნაკეთი იარლიყებით მუშაობა, მიმდინარე სეზონმა დაამტკიცა, რომ ეს ძნელი არ არის. როცა მეჩაიეები დარწმუნდნენ, რომ მატერიალურად არაფერს კარგავენ, ხოლო თავიანთი გარჯით სახელმწიფო და ეროვნულ საქმეს აკეთებენ, შეგნებით გამოეხმაურნენ მოწოდებას და შედეგმაც არ დააყოვნა.

ჩვენი აზრით, საჭიროა მეტი იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მუშაობა. სუბტროპიკულ ზონებში იშვიათად ნახავთ მიზნობრივი შინაარსის პლაკატებს, ტრანსპარანტებს, შემოქმედებითი ხასიათის პანოებს. პარტიის რაიკომებმა მშრომელთა იდეოლოგიური უზრუნველყოფისა და თვალსაჩინო აგიტაციის საქმეს მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ.

ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას ახალი გაქანება უნდა მიეცეს. საამისოდ ჯერ ყველაფერი არ გაკეთებულა. უნდა გაგრძელდეს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ამ საქმეში მეტი წვლილი უნდა შეიტანონ აგიტატორებმა, პროპაგანდისტებმა, მათ დამაჯერებელი სიტყვით მხარი უნდა აუბან აგროპერსონალს.

თვალსაჩინო აგიტაციის გასაუმჯობესებლად ბევრის გაკეთება შეუძლიათ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „საქჩაის", გამსახკომს, დროა ამ საქმეს მათ მეტი ყურადღება მიაქციონ.

ჩვენი ღირსების საქმე

„მიმდინარე წლის სეზონი, — თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე, — ჩაის ხარისხის აღდგენის სეზონი უნდა გახდეს. საამისოდ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის გამოცდილების მთელი არსენალი. ეს აუცილებელია რესპუბლიკის ეკონომიკის ინტერესებისათვის. ამას მოითხოვს საბჭოთა ხალხი ჩვენგან".

ახლა, როცა კრეფის სეზონის დაწყებიდან ორი თვე გავიდა, ნათელი გახდა, რომ დიდი წარმატებებია მოპოვებული ჩაის ხარისხისათვის ბრძოლაში. მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა ერთობლივი ღონისძიებების შედეგად საუკეთესო პროდუქციაა მიღებული. ხარისხისათვის ბრძოლას არ შეუმცირებია რაოდენობა. მიუხედავად ამისა, ჯერ ბევრია გასაკეთებელი. ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად საჭიროა დარაზმულობა, ერთსულოვნება, ენერგიული გარჯა, ყოველი დღის, საათის მაქსიმალური გამოყენება, მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა თავდაუზოგავი, ხელიხელჩაკიდებული შრომა.

მ. გორგილაძე.

პარტიული ცხოვრება: ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სტილი

კომუნისტის საპატიო მოვალეობა

საბჭოთა საქართველოს, ისევე როგორც მთელი ქვეყნის, მშრომელები გულმოდგინედ შრომობენ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის. დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, დაძაბულ გეგმებს, რთულ ამოცანებს ვერ გადავწყვეტთ, თუ კიდევ უფრო არ განვამტკიცეთ დისციპლინა, არ გავაძლიერეთ პარტიული ხელმძღვანელობა, პარტიული გავლენა ჩვენი საქმიანობის ყველა უბანზე. სწორედ ეს არის იმ წარმატებათა თავიდათავი, რომლებიც რესპუბლიკამ მოიპოვა ამ ბოლო ათი წლის მანძილზე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში იზრდება პარტიის როლი საზოგადოების ცხოვრებაში. თვით პარტიაც იზრდება, მტკიცდება, სრულყოფს თავისი საქმიანობის ყველა მხარეს. ეს თვალსაჩინოდ ჩანს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მაგალითით, სადაც მტკიცედ დამკვიდრდა თვითკრიტიკულობის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთება, სადაც კადრებისადმი ნდობა და პატივისცემა შეხამებულია მათდამი მომთხოვნელობის ამაღლებასთან. მუშაობის ასეთი სტილი — ლენინური სტილი მთავარი გახდა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში.

პარტია რთული, დინამიკურად განვითარებადი ორგანიზმია, რომელშიც ყველაფერი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, სადაც ორგანიზატორული და პოლიტიკური ხასიათის საკითხებთან ერთად არცთუ მცირე მნიშვნელობა ენიჭება პარტიული მეურნეობის გაძღოლის, პარტიის იმ ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის საკითხებს, რომელთა ძირითადი წყაროა სკკპ წევრთა და წევრობის კანდიდატთა პარტიული შესატანები.

სკკპ წესდებაში ჩაწერილია: „პარტიისა და მისი ორგანიზაციების ფულადი სახსრები შედგება საწევრო შესატანისაგან, პარტიის საწარმოთა შემოსავლისა და სხვა შემოსატანისაგან".

პარტიის მატერიალურ მხარდაჭერაზე რომ ვლაპარაკობ, მინდა აღვნიშნო, რომ ამ მიმართულებით რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ფრიად ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს. პარტიული კომიტეტების უმრავლესობამ ამ ბოლო წლების მანძილზე საგრძნობლად გააუმჯობესა ხელმძღვანელობა და კონტროლი საწევრო შესატანების გადახდისადმი, აღრიცხვისა და ანგარიშგებისადმი, სკკპ წევრებისა და წევრობის კანდიდატების საწევრო შესატანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის დებულებათა დაცვისადმი. ეს საკითხები პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების ბიუროების განსჯის საგანი ხდება, სადაც განიხილავენ შემოწმებათა შედეგებს, სწავლობენ შემოსულ მასალებს. ამ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობამ მნიშვნელოვნად გააქტიურა თავისი მუშაობა. ისახება და ხორციელდება ღონისძიებანი, რათა უფრო ზუსტად შესრულდეს საწევრო შესატანების გადახდის საწესდებო მოთხოვნები. პრაქტიკული ღონისძიებების გარდა, რომელთა დანიშნულებაა შემოწმება და, რაც მთავარია, კონკრეტული დახმარების გაწევა ადგილებზე, დიდი ყურადღება ეთმობა აღმზრდელობითი, საკონსულტაციო-საინსტრუქციო ხასიათის ღონისძიებებს. საკმარისია ითქვას, რომ თუ, მაგალითად, წინათ ეწყობოდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მხოლოდ 70-80 პროცენტის შემოწმება, ახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობა, პარტიული კომიტეტები და სარევიზიო კომისიები უზრუნველყოფენ ყველა პირველადი პარტორგანიზაციის შემოწმებას.

მაგრამ თუ არ განვაზოგადეთ, არ გავაანალიზეთ შემოწმების შედეგები, თუ არ უზრუნველვყავით საჯაროობა, ამ მუშაობის მთელი პრაქტიკული უკუგება მინიმუმამდე იქნებოდა შემცირებული. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობა სისტემატურად აწყობს თათბირ-სემინარებს, შეხვედრებს პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან, კონსულტაციებს, ამზადებს და არიგებს მეთოდიკურ მითითებებს, გამოსცემს და არიგებს ბიულეტენებს. საკონსულტაციო ხასიათის ღონისძიებათა განხორციელების ფართო შესაძლებლობანი აქვთ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კაბინეტებს, რომლებიც შექმნილია პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, და ამ შესაძლებლობებს ეფექტიანად იყენებენ. ყოველივე ამას მოჰყვა და ახლაც მოჰყვება დადებითი შედეგები.

ამავე დროს საქმეთა საერთო სტაბილური გაუმჯობესების ფონზე აშკარად ჩანს გარკვეული ხარვეზები, ნაკლოვანებები, სერიოზული შეცდომები, რაც ზოგჯერ ლამის უპასუხისმგებლობამდე და უნიათობამდე მიდის. უპირველესად ეს გამოიხატება იმით, რომ, სამწუხაროდ, მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ვაწყდებით ისეთ ფაქტებს, და პირდაპირ ვთქვათ, სრულიადაც არ არის ეს ერთეული ფაქტები, როცა ზოგიერთი კომუნისტი შესატანს სრული ხელფასიდან არ იხდის, რაც, საბოლოო ანგარიშით, ძალზე დიდ თანხებს შეადგენს. მაგალითად, რამდენადმე გაუარესდა საწევრო შესატანების გადახდის მდგომარეობა ქალაქ თბილისის ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციებში: ლაპარაკი გვიხდება იმაზე, რომ ამ საკითხისადმი ყურადღება შეასუსტეს ლენინის, ოქტომბრის, გლდანის, 26 კომისრის სახელობის და ორჯონიკიძის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში. და რაც განსაკუთრებით გვაღელვებს, ეს არის ფაქტები, როცა ჯერ კიდევ კომუნისტების მნიშვნელოვანი რაოდენობა არღვევს სკკპ წესდების ელემენტარულ მოთხოვნებს. იმას, თუ ზოგჯერ რა მოჰყვება ხოლმე უკონტროლობის ვითარებას, მოწმობს პარტიულ ორგანიზაციებში საწევრო შესატანების გადახდისას კომუნისტების უდისციპლინობის გამოვლენის მრავალი შემთხვევა. ასეთი შემთხვევები იყო ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის, კიბერნეტიკის ინსტიტუტის, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის, კალინინის რაიონის „თბილისწყალკანალიზაციის" სამმართველოს, „საქშახტმშენის" № 7 ტრესტის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირის კოლმეურნეობის ნავთობბაზის, თერჯოლის რაიონის სოფელ საზანოს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის, ქარელის რაიონის კონსერვის საწარმოო გაერთიანების და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში. ლაპარაკი გვიხდება ისეთ ფაქტებზეც, როცა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ზოგჯერ კი პარტიული ხელმძღვანელებიც თვითონ იჩენენ არააკურატულობას საწევრო შესატანების გადახდისას. უნდა ითქვას, რომ ეს საკითხები ძალზე მწვავედ და საგნობრივად განიხილეს პარტიის რაიკომებისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროების სხდომებზე. ცალკეული კომუნისტები მკაცრად დაისაჯნენ საწევრო შესატანების გადახდისას უდისციპლინობის გამოვლენისათვის.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შესატანების გადაუხდელობის განხილვის აღმზრდელობითი მნიშვნელობა ბევრად უფრო ძლიერია, თუ არასაპატიო მიზეზით გადაუხდელობის შემთხვევებს დროულად განიხილავენ არა როგორც ელემენტარული გულგრილობის შემცველ ფაქტს, არამედ აღმზრდელობითი თვალსაზრისით, კომუნისტთა დისციპლინის დონისადმი მომთხოვნელობის ამაღლების თვალსაზრისით.

ზემოთქმულს მინდა ისიც დავძინო, რომ ყველაზე გავრცელებული დარღვევაა კომუნისტებისაგან მიღებული საწევრო შესატანების არადროული ჩაბარება შემნახველ სალაროებში, პარტიის რაიკომისადმი № 3 ფორმის კრებსითი ანგარიშგების დაგვიანებით წარდგენა. ამგვარი ფაქტები სხვა არა არის რა, თუ არა პარტიული დისციპლინის უხეში დარღვევა, ის, რომ პარტიული ორგანიზაციების მდივნები მოკლებული არიან კომუნისტების წინაშე მოვალეობის გრძნობას, რომლებმაც მიანდეს მათ ხელმძღვანელობა. და, ეტყობა, არავითარი მოუცლელობით, სხვა „ობიექტური" მიზეზების მომველიებით არ შეიძლება ამის გამართლება. უპასუხისმგებლობის, უკონტროლობის ვითარება ხშირად ხელს უწყობს იმას, რომ ჩაიდინონ უფრო სერიოზული საქციელი, რომელიც მკაცრად ისჯება დისციპლინური წესით. ამის მაგალითი შეიძლება იყოს შემთხვევა, რომელიც საქარხნო რაიონის № 1 ხის დამმუშავებელ კომბინატში მოხდა: პარტიის რაიკომის მიერ მოწყობილი შემოწმების შემდეგ კომბინატის ახლად არჩეულმა პარტბიუროს მდივანმა ი. დოლიძემ აქტით მოსპო 1979-80 წლების საწევრო პარტიული შესატანების ყველა დოკუმენტი, რითაც ძალზე უხეშად დაარღვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქცია. პარტიის საქარხნო რაიკომმა განიხილა ეს საკითხი. ბიუროს გადაწყვეტილებით დიდი დავალიანებისა და შემნახველ სალაროში ფულის არადროული ჩაბარებისათვის მკაცრი პარტიული სასჯელი დაედოთ ი. დოლიძეს და კომბინატის პარტბიუროს ყოფილ მდივანს ვ. უსანეტაშვილს.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც საწევრო შესატანების გადახდის საკითხს შეუნელებელი ყურადღება ეთმობა, სადაც იგი პრინციპულად, უდიდესი მომთხოვნელობით წყდება, შედეგებიც კარგია. ამ თვალსაზრისით უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია, სადაც შარშანდელთან შედარებით თითქმის ორჯერ შემცირდა იმ კომუნისტთა რიცხვი, რომლებიც სრულად არ იხდიდნენ საწევრო

სპეციალისტი სკოლაში იწყება

გვესაუბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია

გაიმართა მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საბჭოს პირველი სხდომა. სხდომაზე გამოვიდნენ საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, რესპუბლიკის განათლების მინისტრი ო. ქინქლა- [illegible]

სჭირდება ან უკვე სჭირდება განვითარებადს დარგს თითოეულ კონკრეტულ ქალაქსა თუ რაიონში. მე ვგულისხმობ მომავალ მშენებლებს, მემონტაჟეებს, ელექტრიკოსებს, სხვა იმ პროფესიათა წარმომადგენლებს, რომლებიც აუცილებელია მშენებარე საწარმოების, მეცხოველეობის კომპლექსების, მეფ- [illegible]

ღვრება, თუ რამდენად გამოდგება ახალგაზრდა ამა თუ იმ პროფესიაში. რა თქმა უნდა, ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანები დაყოფილი არიან ნიჭიერებად და უნიჭოებად. უბრალოდ, მიღებული ინფორმაცია და შესაბამისი კონსულტაციები ახალგაზრდას დაეხმარება [illegible]

[illegible]

საჭირო დიალოგი

ამერიკელები ჟენევის მოლაპარაკების შესახებ

ვაშინგტონი. ამერიკის საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების განახლებას ჟენევაში. „მივესალმებით ორი დიდი სახელმწიფოს დიალოგის დაწყებას თანამედროვეობის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემის შესახებ, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ იგი პოზიტიური ნაბიჯი იქნება საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების გზაზე", — ხაზგასმით აღნიშნა საქდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში გავლენიანი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — ახალი საგარეო და სამხედრო პოლიტიკის მომხრეთა კოალიციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა სტივ დეგოტმა. ამასთან მან მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის მიერ ცალმხრივი წესით ნაკისრ ვალდებულებას პირველმა არ იხმაროს ბირთვული იარაღი, რომელიც მისი აზრით, მოწმობს თუ რაოდენ სერიოზულად ეკიდება სსრ კავშირი გამალებული შეიარაღების ალაგმვის პრობლემას და ხელს უწყობს ჟენევის მოლაპარაკებაზე საქმიანი ატმოსფეროს შექმნას.

ამასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელდა რწმენა, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირის მეცადინეობა საკმარისი არ არის და რომ რ. რეიგანის ადმინისტრაციამ კარდინალურად უნდა გადასინჯოს თავისი მიდგომა გამალებული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის პრობლემებისადმი.

— პრესა ადასტურებს —

ინგლისის გეგმები ფოლკლენდის კუნძულებზე

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობა აპირებს ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე შეინარჩუნოს კოლონიური სტატუსი და იგი სამხრეთ ატლანტიკაში ინგლისის უდიდეს სამხედრო ბაზად აქციოს. ამას მოწმობს ახალი ფაქტები, რომლებსაც გაზეთი „დეილი ტელეგრაფი" აქვეყნებს. ოფიციალურ ლონდონს, წერს გაზეთი, განზრახული აქვს კუნძულებზე განალაგოს ულტრათანამედროვე სადაზვერვო თვითმფრინავები „ნიმროდი", რომლებიც ამერიკული ავაქსის სისტემის ანალოგიური მოწყობილობით არის აღჭურვილი. თვითმფრინავები იპატრულებენ ამ რაიონში ბრიტანეთის წყალქვეშა ნავებთან „ურთიერთმოქმედებით", რომლებიც ასევე „მიმაგრებულია" ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე. „ნიმროდების" მისაღებად მოსამზადებელი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

არგენტინის მხრივ „შესაძლო საომარი მოქმედების" თავიდან აცილების საბაბით მ. ტეტჩერის კაბინეტმა გადაწყვიტა კუნძულებზე გადაიყვანოს საგრეთვე ამერიკული წარმოების „ფანტომის" ტიპის ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენები და არქიპელაგზე დატოვოს „ჰარიერის" ტიპის ავიაგამანადგურებლების სულ ცოტა ერთი ესკადრილია. გარდა ამისა, წერს გაზეთი, კუნძულებზე განლაგდება 5-ათასიანი სამხედრო გარნიზონი, სამხედრო-საზღვაო ესკადრა, რომელშიც, როგორც ვარაუდობენ, შევა ერთი ავიამზიდი, რამდენიმე ფრეგატი და საესკადრო ნაღმოსანი.

ვიდრე არ დამთავრდება კუნძულების გადაქცევა დიდი ბრიტანეთის ფორპოსტად სამხრეთ ატლანტიკაში, პრესის მონაცემებით, ამ რაიონში დარჩება ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების დამრტყმელი ჯგუფი, კერძოდ, ავიამზიდები „ჰერმესი" და „ინვინსიბლი". არ არის გამორიცხული, რომ მალე მათ შეუერთდება უახლესი ინგლისური ავიამზიდი „ილასტრიოსი", რომელიც სულ რამდენიმე დღეა, რაც მწყობრში ჩადგა.

● აშშ

პრეზიდენტი აიძულეს

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების ფართო საზოგადოებრიობის მტკიცე მოთხოვნის შემდეგ პრეზიდენტი რეიგანი იძულებული გახდა ხელი მოეწერა კანონპროექტისათვის 1965 წლის საარჩევნო უფლებების კანონის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. როგორც ცნობილია, ეს კანონი მიიღეს შეერთებული შტატების ზანგი მოსახლეობის თანასწორუფლებიანობისათვის მრავალი წლის შეუპოვარი ბრძოლის შედეგად.

თეთრ სახლში გამართულ ხელმოწერის ცერემონიაზე რ. რეიგანმა მაღალფარდოვნად განაცხადა, კენჭისყრის უფლება — ეს „ამერიკის თავისუფლებათა მარგალიტია", რომლითაც ქვეყნის ყველა მოქალაქე სარგებლობს.

მაგრამ განა სწორედ რეიგანი არ იყო ხელისუფლების სათავეში მოქცევისთანავე რომ განაცხადა, კანონი საარჩევნო უფლებების შესახებ „მთავრობას ხელს არ აძლევსო". იგი პირადად აქტიურად უჭერდა მხარს კანონის დებულებათა გადასინჯვის კამპანიას, რომელიც ამერიკის კონგრესში გააჩაღეს რასისტულად განწყობილმა კანონმდებლებმა.

● არგენტინა

მთავრობის გადაწყვეტილება

ბუენოს-აირესი. არგენტინის მთავრობამ აკრძალა თავის ქვეყანაში დასავლეთ ევროპის იმ ქვეყნების ავიაკომპანიების რეისები, რომლებმაც სამხრეთ ატლანტიკაში ამასწინანდელი ინგლის-არგენტინის კონფლიქტის დროს, აგრესორი ქვეყნის — ინგლისის ზეგავლენით არგენტინის საწინააღმდეგო ეკონომიკური სანქციები გამოიყენეს. აგრენტინის ეს ღონისძიება ვრცელდება ისეთ კომპანიებზე, როგორიც არის საფრანგეთის „ერ-ფრანსი", დასავლეთ გერმანიის „ლუფტგანზი", ინგლისის „ბრიტიშ კალედონიენი", ჰოლანდიის „კლმ", აგრეთვე „სასი", რომელსაც ერთობლივად ფლობენ დანია, ნორვეგია და შვეცია.

— ფოტოფაქტი —

● გფრ

მტკიცე პროტესტი

მსოფლიოში ძლიერდება საზოგადოებრიობის მოძრაობა გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ბირთვული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. ომის საწინააღმდეგო ლოზუნგებით ირაზმებიან სხვადასხვა მრწამსის ადამიანები, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რომლებსაც აწუხებთ მსოფლიოს ბედი და შეგნებული აქვთ ქმედითი განიარაღების აუცილებლობა.

სურათზე: „ქალები ბირთვული რაკეტების წინააღმდეგი არიან!" — წარწერილია პლაკატზე, რომელიც დემონსტრაციაზე დიუსელდორფელმა მშვიდობის მომხრეებმა გამოიტანეს.

საქდესის ფოტო.

● გვატემალა

შემოიღეს საალყო წესები

ნიუ-იორკი. გვატემალაში საალყო წესები შემოიღეს, იუწყება იუპის სააგენტო. ეროვნული ტელევიზიით გამოსვლისას რეაქციული რეჟიმის მეთაურმა გენერალმა რიოს მონტმა განაცხადა, რომ ამიერიდან ყველა პირი, რომელსაც იარაღს აღმოუჩენენ, დაიხვრიტება.

დიქტატურის ახალი ნაბიჯი მოწმობს მის უძლურებას შეანელოს ხალხის ფართო მასების მზარდი ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის, თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის. საალყო წესების შესახებ კანონის ნიღბით გვატემალის სისხლიანი რეჟიმი კიდევ უფრო ამკაცრებს რეპრესიებს პატრიოტთა წინააღმდეგ.

შემთხვევა

კატასტროფა რკინიგზაზე

ნიუ-იორკი. უდიდესი სარკინიგზო კატასტროფა მოხდა ამერიკის ქალაქ ჰოგანსვილის (ჯორჯიის შტატი) მახლობლად. 80-მდე ცისტერნა ასცდა ლიანდაგს და ხიდიდან ჩავარდა მდინარე ბიჩ-კრიკში, რომელიც უესტ-პოინტის ტბაში ჩაედინება.

კატასტროფის შედეგად ათობით ტონა შხამიანი ქიმიური ნივთიერება წყალსაცავში მოხვდა, რომელიც ამ რაიონის მრავალრიცხოვანი დასახლებული პუნქტისათვის სასმელი წყლის მთავარი წყაროა. ხელისუფლება იძულებული გახდა მთლიანად შეეწყვიტა წყლის მიწოდება ქალაქების ლაგრენჯის და ლანეტის მოსახლეობისათვის.

გურამ ასათიანი



ქართულმა საბჭოთა მწერლობამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი და კრიტიკოსი, სკკპ წევრი, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გურამ ასათიანი.

გურამ ასათიანმა დიდი ღვაწლი დასდო ქართული საბჭოთა მწერლობის აყ- [illegible]

[illegible] სამწერლო ასპარეზზე გურამ ასათიანი 1950 წელს გამოვიდა, როდესაც ჟურნალ „მნათობში" დაიბეჭდა მისი პირველი ლიტე- [illegible]

[illegible] საზოგადო მოღვაწის, ჭეშმარიტი პატრიოტის ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მადლიერი ქართველი ხალხის გულში.

ე. ა. შევარდნაძე, გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ჟ. კ. შარტავა, ნ. შ. ჯანბერიძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, გ. ვ. ბედინეიშვილი, ნ. გ. ჩერქეზიშვილი, ნ. ა. ფოფხაძე, ი. ზ. აბაშიძე, გ. გ. აბაშიძე, ნ. ვ. დუმბაძე, ე.ს. მაღრაძე, დ. ა. ალექსიძე, ე. დ. ამაშუკელი, გ. შ. ორჯონიკიძე, ე. ნ. შენგელაია, გ. შ. ციციშვილი, ჯ. ა. ჩარკვიანი, შ. გ. ნიშნიანიძე, თ. ი. ჭილაძე, რ. ს. მიმინოშვილი, მ. ტ. ლასურია, ფ. ი. ხალვაში, კ. ი. მარღიევი, დ. ვ. კვიცარიძე, გ. ი. ფანჯიკიძე, ა. ს. სულაკაური, ხ. მ. ბერულავა, ა. გ. ბარამიძე, მ. ი. მაჭავარიანი, გ. კ. ნატროშვილი, ვ. ვ. ჭელიძე, რ. ა. მარგიანი, მ. თ. ფოცხიშვილი, კ. ა. ლორთქიფანიძე, კ. რ. კალაძე, გ. ი. მერკვილაძე, ს. ე. ჭილაია, გ. ე. გვერდწითელი, ჯ. ნ. ღვინჯილია, ი. ო. ანდრიაძე, ნ. ა. ჟვანია.

[illegible]

ქართული კულტურის ღირსეული დესპანი

გათავდა...

აღარ არის ჩვენ შორის გურამ ასათიანი — ქართველი ხალხის კულტურის დესპანი მის ფარგლებს გარეთ, მოჭირნახულე მამულიშვილი თავის მიწაზე.

ცხოვრებაში ეს კაცი ისეთი სილაღით ჰფენდა თავის გარშემო სიკეთეს, გონიერებას, ჰარმონიას, რომ მასთან ყოველ შემხვედრს ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული შემოქმედი ეგონა თავად იგი. ასეც იყო, რადგანაც მისი ჰარმონიულობა ბუნებრივი ნიჭისა და პიროვნული მომხიბლაობისაგან შემდგარი ის თვითნაბადი მონოლითი იყო, რომელიც ასე იშვიათად იპოვება ბუნებაში.

მის ნიჭსა და მომხიბლაობას თანაბრად მოჯადოებული ჰყავდა როგორც ლეონიძისა და პასტერნაკის მსგავსი პოეტებისაგან შემდგარი აუდიტორიები, ისე გაჩირაღდნებული დარბაზების თუ სამეგობრო ტაბლის შემომსხდარი სერობის მონაწილენი...

მაგრამ არავის მის მეგობართა და კოლეგებს შორის ისე არ შვენოდა და არ ეხერხებოდა ქართული მიწისა და კულტურის პირველყოფილი, შეურყვნელი, უშუალობაში განზავებული საწყისების გრძნობისა და ტარების უნარი, როგორც მას.

და ეს იმიტომაც, რომ ჩვენ შორის იმდენი არავის უფიქრია ეროვნული კულტურისა და ისტორიული ფსიქოლოგიის როგორც გენეტიკური კოდის ხასიათზე, რამდენიც იფიქრა „სათავეების..." ავტორმა გურამ ასათიანმა.

ლევან ასათიანის შვილისათვის ამ წარსულიდან პიროვნულად ორგანული იყო დახვეწილი არტისტიზმი როგორც აზროვნების ფორმა, არტისტიზმი როგორც ცხოვრების განუყოფელი ნაწილი.

გურამ ასათიანი ბევრი მშვენიერი წიგნის თუ კრიტიკული წერილის ავტორია...

თუ გმირობისა და ვაჟკაცობის საზომი, გარდა საქვეყნო საქმის კეთებისა, კაცის სიკვდილთან მიახლოებული მანძილითაც მოწმდება, სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვული გურამ ასათიანის უკანასკნელი თვეები იყო ჟამი სულის ჭეშმარიტი ტრიუმფისა სხეულზე.

ეს სანთელივით განლეული კაცი სულის ამოხდომამდე ჰფენდა თავის გარშემო სიკეთის, იუმორის, სხვისი ჭირისუფლობის, სხვისთვის მდგომარეობის შემსუბუქების ატმოსფეროს.

რომაულ სტოიციზმს თითქოს ის აერჩია ჩვენთვის ცოცხალ განმასახიერებლად: კრინტი არ დასცდენია საკუთარ უილბლობაზე, საწუთროს სიმუხთლეზე.

ასეთი გურამ ასათიანის შემყურეს ცხადად შეგვეძლო გვერწმუნა, რომ რუსთაველის სიტყვები — „მე იგი ვარ ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიტრად,

ბერად,

ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად",

არის არა ლიტერატურა, არა პოეტური დეკლარაცია და ლამაზი სიტყვები, არამედ რეალური ადამიანის რეალური შესაძლებლობა.

გიორგი გაჩეჩილაძე,
გურამ გვერდწითელი.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

მსაჯთან დავა ამაოა.

ხ. კილაძის ფოტო.

ხელოვნებისა და მეგობრობის მარშრუტები

კონცერტებით უნგრეთში

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მსმენელები შეხვდებიან საქართველოს კამერულ ორკესტრს, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსებისა და ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი ლიანა ისაკაძე. დღეს ქართველი მუსიკოსები მოძმე ქვეყანაში მიემგზავრებიან. იქ ისინი მონაწილეობას მიიღებენ ჰაიდნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ფესტივალში.

დიდი ავსტრიელი კომპოზიტორის შემოქმედება კამერული ორკესტრის რეპერტუარში წარმოდგენილია მისი მეორე სიმფონიით, სავიოლინო და სავიოლონჩელო კონცერტებით, რომლებშიც სოლოს შეასრულებენ ლიანა ისაკაძე და მისი ძმა, ცნობილი ვიოლონჩელისტი ელდარ ისაკაძე.

საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი კოლექტივის ხელოვნებას უნგრელები პირველად გაეცნობიან. საფესტივალო გამოსვლების გარდა იგი ამ ქვეყანაში რამდენიმე კონცერტს გამართავს.

რესპუბლიკის კამერულმა ორკესტრმა, კლასიკოსი და თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებთა დაუცხრომელმა პროპაგანდისტმა განსაკუთრებული პოპულარობა და აღიარება მოიპოვა მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა თავისთავადი ნიჭისა და ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მუსიკოსი ლიანა ისაკაძე, რომლის საშემსრულებლო ხელოვნება საქვეყნოდ არის ცნობილი.

უნგრეთში გამგზავრების წინ ორკესტრის საფესტივალო პროგრამას გაეცნენ თელავის მსმენელები — ამ უძველეს ქალაქში გამართულ კონცერტზე თავი მოიყარა მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ.

ამას წინათ საქართველოს კამერულ ორკესტრს ტაში უკრავდნენ უკრაინის დედაქალაქში, სადაც იგი მონაწილეობდა „კიევის გაზაფხულის" ფესტივალში. დიდი წარმატება ხვდა მათ სარატოვშიც სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართული მუსიკის დათვალიერების დროს, აგრეთვე დნეპროპეტროვსკში, სადაც იგი მონაწილეობდა საბჭოთა მუსიკის ფესტივალში.

უნგრეთის შემდეგ ორკესტრი გასტროლებს მოაწყობს სკანდინავიის ქვეყნებში. (საქინფორმი).

ყაბახი

სატურნირო ორბიტა

ფრენბურთი. ჩელიაბინსკში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „ქარიშხალას" საკავშირო ჩემპიონატი. ქალთა გუნდების ასპარეზობაში თბილისელებმა (მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი შ. მარგიშვილი) მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. ჩელიაბინსკის „პოლიტეხნიკმა" (იგი უმაღლეს ლიგაში თამაშობს) პირველობა მოიპოვა.

სროლა. ესპანეთის ქალაქ სარაგოსაში მიმდინარეობს ევროპის თასის გათამაშება. მრგვალ სტენდზე სროლაში შეჯიბრება უკვე დამთავრდა. გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვება იზეიმეს ჩეხოსლოვაკიელებმა — 584 ქულა. მათ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩნენ საბჭოთა სპორტსმენები და ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ. საბჭოთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ თბილისელი ტარიელ ჟღენტი, მინსკელი ვიაჩესლავ მოლჩანოვი, ფრუნზელი ნიკოლოზ გაპონენკო და მოსკოველი ანატოლი ფეოდოროვი. მესამე ადგილი წილად ხვდათ იტალიელებს — 582 ქულა. პირად შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ინგლისელი ჯოზეფ შოფელდი — 198 ქულა. მინსკელმა მოლჩანოვმაც 198 ქულა დააგროვა, მაგრამ ხელახალ სერიაში უპირატესობა ინგლისელმა მოიპოვა. მესამე ადგილი წილად ხვდა ესპანელ კიმენეს პერესს — 197 ქულა. ახლა ასპარეზობა გაიმართება სასანგრო სტენდზე სროლაში.

ხელბურთი. იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ ტროგირში დაიწყო ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება. „იუგოსლავიის თასი" — ასე ეწოდება ამ ტრადიციულ ტურნირს. პირველ დღეს საბჭოთა ნაკრები შეხვდა იუგოსლავიის მეორე გუნდს და გაიმარჯვა ანგარიშით 28:22. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: პოლონეთი — შვეიცარია 26:16, იუგოსლავია 1 — ისლანდია 23:17.

კალათბურთი. მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და აშშ-ს ქალთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 88:74 (40:43).

წყალბურთი. თბილისის საწყალოსნო სპორტული კომპლექსის აუზში სტარტი აიღო ქვეყნის წყალბურთელ ჭაბუკთა პირველობის ნახევარფინალურმა ტურნირმა. მასში მონაწილეობს რვა გუნდი, რომლებმაც წინასწარ შეჯიბრებაში უკეთესი ადგილები დაიკავეს.

თბილისის ქვეჯგუფში გამოდიან (ანალოგიური ტურნირი მიმდინარეობს კიშინიოვშიც) ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლა (მინსკი) და „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) — 6-6 ქულა, „მეხნატი" (ტაშკენტი) და „დინამო" (ალმა-ატა) — 4-4 ქულა, თბილისის სახალხო განათლების სამმართველო და მოსკოვის „იუნოსტი" — 2-2 ქულა, „აზოვი" (ჟდანოვი) და ერევნის „სპარტაკი", რომლებსაც არცერთი ქულა არა აქვთ.

ტურნირის შედეგების მიხედვით პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდი ჩემპიონატის ფინალში მიიღებს მონაწილეობას.

ნახევარფინალური ტურნირის პირველი მატჩი ქართველმა წყალბურთელებმა ალმა-ათის „დინამოს" ძლიერ კოლექტივთან გამართეს. მატჩი დამთავრდა ფრედ 9:9.

ვოლგოგრადის „სპარტაკმა" დამაჯერებლად მოუგო „აზოვს" — 14:3, მინსკელმა წყალბურთელებმა დაამარცხეს ერევნის „სპარტაკი" — 15:10, ხოლო „იუნოსტი" „მეხნატზე" ძლიერი აღმოჩნდა — 14:3.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაჭყებია.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში 1982-83 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:
1) სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.
2) მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, საბუღალტრო აღრიცხვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

მევენახეობის განხრით, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;
2) მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, საბუღალტრო აღრიცხვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

...

2) მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

თელავის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმში:
1) სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

...

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში:
1) ვეტერინარია, საბუღალტრო აღრიცხვა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;
2) მეხილეობა-მებოსტნეობა, მცენარეთა დაცვა, ზოოტექნიკა, ვეტერინარია, საბუღალტრო აღრიცხვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

წნორის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში:
1) ზოოტექნია, ვეტერინარია, ...

...

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის, მეცხოველეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სპეციალობებზე: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), მათემატიკაში (ზეპირი).

ბ) საქმის წარმოების ორგანიზაციის სპეციალობაზე — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), სსრ კავშირის ისტორიაში — (ზეპირი).

...

რიენტებს, რომლებიც ვერ ჩაირიცხებიან უგამოცდოდ 60 პროცენტის ფარგლებში, უფლება აქვთ გამოცდები ჩააბარონ არჩეულ სპეციალობაზე;

— „ა" ქვეპუნქტში აღნიშნულ აბიტურიენტებს, რომლებიც ვერ ჩაირიცხნენ უგამოცდოდ არჩეულ სპეციალობაზე, უფლება აქვთ განცხადებით მიმართონ დირექციას სხვა სპეციალობაზე უგამოცდოდ ჩარიცხვის მიზნით.

...

შეფასება „4" და „5."

შენიშვნა: — „გ" ქვეპუნქტში აღნიშნული აბიტურიენტები უგამოცდოდ ჩაირიცხებიან მხოლოდ „ა" ქვეპუნქტით ჩარიცხვის შემდეგ დარჩენილ ადგილებზე; — „ა" და „ბ" პუნქტებში აღნიშნულ აბიტუ-

...

ციალობაზე და დაუსწრებელი სწავლების საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობაზე — 1 სექტემბერს;

დაუსწრებელი სწავლების მეხილეობა - მებოსტნეობა-მევენახეობის სპეციალობაზე— 1 იანვარს.

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1982-1983 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია;
ისტორია;
რუსული ენა და ლიტერატურა;
ფიზიკა-ასტრონომია;

...

ლიტერატურა (წერა) — რუსულ სექტორზე.

შენიშვნა: ა) დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის სპეციალობაზე მიიღებიან მხოლოდ 18-

...

დან (აღნიშნული უნდა იყოს თარიღი), რომელსაც აძლევენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები (დახასიათება დამოწმებული უნდა იყოს სამი ...

...

წავლებელში შემსვლელმა, უნდა წარმოადგინოს აგრეთვე ამონაწერი შრომის წიგნაკიდან. თუ სკოლის დამთავრების შემდეგ ...

...

მიმღები კომისია.

მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1982-1983 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროფესიებზე:

საშუალო პროფტექნიკურ ჯგუფებში სამწლიანი სწავლების ვადით:
არქიტექტურული დეტალების მძერწავი;
დურგალი (სამშენებლო), ხურო;
შემლესავი (მხატვრული მოპირკეთება), მხატვრული და საიუველირო ნაწარმის მჭედელი;

...

ქნიკური ჯგუფების მოსწავლეებს, რომლებსაც სწავლების მანძილზე ექნებათ საწარმოო სწავლებაში ნიშანი „5", სხვა დანარჩენ საგნებში კი არანაკლებ 75 პროცენტისა ნიშანი „5" და 25 პროცენტი ნიშანი „4", ჩააბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს ნიშან „5"-ზე, ექნებათ სანიმუშო ყოფაქცევა, სწავლების მანძილზე მიიღე-

...

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 28 ივნისიდან გაიხსნა ერთთვიანი მოსამზადებელი კურსები საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის, რომლის მიზანია აბიტურიენტთა ცოდნის ორგანიზაცია უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად.

მეცადინეობა იწარმოებს იმ საგნებში, რომლებიც უნდა ჩააბარონ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე სპეციალობათა მიხედვით.

მეცადინეობა გაიმართება ყოველდღე 6 საათის განმავლობაში.

მსმენელი სწავლების მთელ პერიოდში იხდის სწავლის ქირას 40 მანეთის ოდენობით.

მოსამზადებელ კურსებზე მსურველთა განცხადებები მიიღება.

მისამართი: სოხუმი, კელასური საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. მიმღები კომისიის ცნობათა ბიურო.

ტელეფონი 3-39-27.

ინსტიტუტის რექტორატი.

ტელევიზია

2 ივლისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია", 9.45 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ჩრდილოეთ ირლანდიისა და ავსტრიის ნაკრები გუნდები. II ტაიმი. 10.30 — სსრ კავშირისა და ბელგიის ნაკრები გუნდები. დამთავრების შემდეგ და 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — დოკუმენტური ფილმები საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა დღის გამო, 16.25 — მოსკოვი და მოსკოველები, 16.55 — „სკოლა ლისიე გორკიში". ტელენარკვევი მასწავლებელ პ. გ. ლოზინას შესახებ ციკლიდან „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლები", 17.40 — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იტალიაში. ჯუზეპე გარიბალდი. დაბადების 175-ე წლისთავის გამო, 18.10 — ე. ნოსოვი, 18.55— ... ვიეტნამის ხელოვნება, 19.35 — მულტფილმი, 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — შრომითი დიდების მედროშენი. ტაშკენტის სატრაქტორო ქარხანა, 20.15 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრები გუნდები, 22.00 — „ვრემია", 22.35 — „ვიმღეროთ, მეგობრებო!" — მუსიკალური პროგრამა, 24.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ესპანეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. შესვენების დროს (00.45) — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში, 9.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, 10.10 — მხატვრული ფილმი „პირველი ქალიშვილი", 11.15 — ინგლისური ენა, 11.45 — მხიარული სტარტები, 12.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული სატელევიზიო ფილმები ბავშვებისათვის, 13.35 — დოკუმენტური ფილმი, 13.55 — სსრ კავშირის ხალხთა მუსიკა. „ქართული მუსიკა", 14.25 — დ. კედრინის პოეზია, ... 15.00 — საჭადრაკო სკოლა, 15.30 — „ეკრანი კრებს მეგობრებს", იაპონიის რუსული სიმღერის გუნდის „სირაკაბას" გამოსვლა, 16.20, 19.00 — ახალი ამბები, 19.20 — კინომოგზაურობის კლუბი, 20.20 — პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის VII საერთაშორისო კონკურსი. შესვენების დროს (21,00) — „ძილი ნებისა, პატარებო!", 22.00 — „ვრემია", 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „ულამაზესი მამაკაცი". I და II სერია.

თბილისი

2 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.45 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. განმეორებით (მ.), 12.20 — „მოამბე", 12.50 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის — „ციცქარა": მხატვრული ფილმი „ერთგული მეგობარი სანჩო", 14.10 — „სსრკ-60" — ახალგაზრდული შეხვედრები (გან-

...

— „ფუძე ქვეყნისა" — „დედა, მამა, მე და..." (გადაცემა მეორე), 19.45 — „მოამბე", 20.15 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში (გადაცემა ესპანეთიდან), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „კინოს სამყაროში", 23.45 —

...

თეატრი

2 ივლისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ კიხოტი (30-ე აბონ. IV წარმ.); მეტეხის თეატრი — შვეიკი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС უე 08875 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო ქორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20